ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1264664

ნომერი: AR1218964

თარიღი : 13.05.2014

გაცემის თარიღი : 15.05.2014

გაცნობის თარიღი : 19.05.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიკრო/რაიონი ნუცუბიძე , I მ/რ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ჯამაგიძე პ/ნ 01025015719
- თბილისი ვაშლიჯვარი II ზონა კორ. 2 ბ. 48

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1218964 13.05.2014 განაცხადის პასუხად, სადაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.14.01.007.003 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების

პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად უკვე გაცემულია #466727 14.12.2012 გადაწყვეტილება – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი ძალაშია გაცემიდან ხუთი წლის განმავლობაში, შესაბამისად შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ აღნიშნული პირობებით (იხ. დანართი)

ვინაიდან წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით უკვე დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება # AR1218964 13.05.2014 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.